საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის

ბრძანება №155

2014 წლის 17 დეკემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ოქტომბრის N145 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2014 წლის 30 ოქტომბრის N145 ბრძანებით (სსმ, ვებ-გვერდი, 31/10/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010320040.22.023.016268) დამტკიცებული საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების დეპარტამენტის მოხელეთა დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების:

1. პირველი მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) უმაღლესი განათლება ტექნიკური, ზუსტი და საბუნებისმეტყველო, სამედიცინო ან იურიდიული მიმართულებით;"

2. პირველი მუხლის ,,გ" ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს;

3. პირველი მუხლის ,,დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,დ) საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი გამოცდილება, მათ შორის ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობის არანაკლებ 4-წლიანი გამოცდილება;"

მუხლი 2

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი — **ელგუჯა ხოკრიშვილი**